საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4051/01
20/04/2022

4051-01-2-202204201528

**ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიას**

გაცნობებთ, რომ 2022 წლის 13 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში სს „საქკაბელის“ მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. ზესტაფონში, სტაროსელსკის ქ. №15-ში არსებული ელასტიკური ნივთიერებების წარმოებისა და დამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია, თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ბმული - https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33986). გთხოვთ, დოკუმენტაციასთან დაკავშირებული შენიშვნებისა და მოსაზრებების წარმოდგენა უზრუნველყოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში **2022 წლის 29 აპრილის ჩათვლით,** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge.

გიგზავნით აღნიშნული პროექტის შესახებ ინფორმაციას თანდართული დოკუმენტაციის სახით. გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

**დანართი:** ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე